

**დავით გაბუნია**

## **საპნის ოპუსი**

მოქმედი პირნი:

სალომე – 16 წლის  
მედიკო – 23-25 წლის  
ნესტანი – 23-25 წლის  
ქეთევან მაყაშვილი – 23-25 წლის  
ექთანი – ახალგაზრდა ქალი  
ჯარისკაცი

წილადის ნიშანი (/) აღნიშნავს რეპლიკების გადაფარვის ადგილს.

## სცენა .1.

ისმის ერთფეროვანი მუსიკა. კაპელდინერებს ან სპექტაკლში დაკავებულ, სპეციალურ კოსტიუმებში გამოწყობილ სტატისტებს მაყურებელი ძალიან სუსტად განათებულ დარბაზში ოთხ-ოთხად შემოჰყავთ. იძახებენ ადგილების რიგითობის მიხედვით (მაგ. ჯერ ბოლო რიგის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 ადგილები, შემდეგ მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და ა.შ.) მაყურებელთა შორისაა სალომე, რომლის ჩაცმულობაც არ გამოიჩინა მკვეთრი თეატრალურობით. სალომე სულ ბოლო ოთხეულშია მოქცეული. სალომეს შემოსვლის შემდეგ დარბაზის კარი ხმაურით იკეტება (სასურველია, მძიმე ურდულით, რომ გასვლა ვერავინ მოახერხოს).

სცენა ნარმოადგენს რბილ ფაქტურაში გადაწყვეტილ ოთახს 4 საწოლით. ეპოქის მკვეთრად გამოხატული ნიშნები ნაშლილია. სათამაშო სივრცე ერთგვარად იზოლირებულია გარემოსგან. დარბაზში შემოსულ მაყურებელს საწოლებში ველი ხვდება: მედიკო, ნესტანი და ქეთევან მაყაშვილი. ისინი ჩუმად არიან და მორჩილად აკვირდებიან ხალხს, თუმცა, ეტყობათ, რომ დიდი ძღველვარებით ელიან რაღაცას. სალომე მისთვის განკუთვნილ ცარიელ საწოლზე ჩამოჯდება.

შემანუხებლად გრძელი პაუზა.

### ნესტანი

კიდევ დიდხანს უნდა იჯდე ასე?

### სალომე

ვინ ხართ? რა გინდათ ჩემგან?

### ნესტანი

ჩვენ – არაფერი. აი, იმათ კი უნდათ...

### სალომე

ვის – იმათ?

**ნესტანი:**  
ინ თეილ ვონ ჯენერ რაფტ, იე სტეტს დას უტე წილლ უნდ სტეტს დას ჯსე სცჰაფფტ.

**მედიკო**

(მიუახლოვდება) მე მედიკო მქვია, ტყუპებზე ვარ  
ორსულად. აი, ნახე, ამ წითელ ყელსახვევს ჩემს შვილებს  
ვუქსოვ...

(თითებიდან გამოზრდია უსაშველოდ გრძელი, უხეშად ნაქსოვი წითელი შარფი. აშკარად  
თითებითაა ნაქსოვი.)

**ნესტანი**

უკვე გიხმარეს? (პაუზა) რამდენი წლის ხარ?

**სალომე**

თექვსმეტის.

**ნესტანი**

რა გქვია?

**სალომე**

სალომე.

**ნესტანი**

გარეთ რა ხდება, სალომე?

**სალომე**

საშინელება.

**მედიკო**

მაინც რა?

**სალომე**

სტალინი მოკლეს. ერთი კვირის წინ...

**მედიკო**

ჩვენთვის არაფერი უთქვამთ...

**ნესტანი**

გვეტყვიან, ნუ გეშინია. 6 მარტი, ეს დღე დაიმახსოვრეთ.

**სალომე**

5 მარტი, 1953 წლის 5 მარტი. მთავარ მოედანზე  
გამოიყვანეს, ფეხებზე ბორკილები ედო, თუმცა, ისეთი

დაუძლურებული იყო, უბორკილოდაც ვერსად გაიქცეოდა... მოყავდათ ფეხშიშველი, გაჭაღარავებული თმა წელამდე სცემდა. ქუჩებში ხალხი გამოეფინა, ყველა იქ იყო, ჯარისკაცები, მოხელები, ბავშვები, ქალები, მოხუცები... მეტეხის ციხიდან ფეხით ატარეს, თითქოს სტალინი კი არა, ვიღაც უბრალო გლეხი ყოფილიყო...

### ქეთევან მაყაშვილი

ესე იგი, აღსრულდა.

### სალომე

რატომდაც კულტურის მინისტრმა წაიკითხა განაჩენი...

### ქეთევან მაყაშვილი

(ზიზღით) ეგეც იქ იყო?

### სალომე

ყველანი იქ იყვნენ. ერნსტ რემი ჩამოვიდა ბერლინიდან, 120 წარჩევი გვარდიელი ახლდა თან და მაღალ ტრიბუნაზე ამაყად იდგა, იქიდან ხელმძღვანელობდა ბელადის წამებას.

### ქეთევან მაყაშვილი

„მოიერიშეთა ბატალიონი“... სასტიკი მხეცები... ჩვენს ექსპერიმენტშიც ისინი მონაწილეობენ.

### სალომე

ბელადი ფიცარნაგზე აიყვანეს და ბოლო სიტყვის თქმის უფლება მისცეს.

### ქეთევან მაყაშვილი

მერე, რაო, რა თქვა?

### სალომე

ერთადერთი სიტყვა – არა!

### მედიკო

8 წელია, ციხეში ჰყავთ და აწამებენ. დაისვენა საწყალმა.

### სალომე

ერნსტ რემი ლიმილით უყურებდა, როგორ შემოახიეს მკერდზე პერანგი... მერე იქვე კოცონი დაანთეს, ზედ სამწვადე შამფურები გაახურეს და სტალინს შიშველ მკერდზე ურტყეს. რემმა ხელით ანიშნა ჯალათებს, შეჩერდითო, ტრიბუნიდან ჩამოვიდა, ბელადს მიუახლოვდა

და მეგობრულად მოხვია მხარზე ხელი, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. სტალინმა ხმამაღლა დაიყვირა: ნეეფ!

### მედიკო

ჩუმად! გაგიჟდი?! რუსულად წუ ლაპარაკობ, ვინმემ არ მოკრას ყური!

### სალომე

რემმა რაღაც ჩაიბურტყუნა და აწითლებული სასწრაფოდ დაუბრუნდა თავის გვარდიელებს.

### ნესტანი

უარი უთხრეს, არა? გააწილეს ჩვენი ბიჭი...

### სალომე

ეს რას ნიშნავს? რაში გააწილეს...

### მედიკო

ნესტან, სულ მთლად ბავშვია, არ გინდა...

### ნესტანი

ბავშვი? (იცინის) ამასაც მოაკითხავენ მალე და აღარ იქნება ბავშვი...

### სალომე

ამიხსენით, რა ხდება...

### ნესტანი

არ იცოდი, რომ რემს კაცების ჰარემი აქვს ბერლინში? ყველა დაპყრობილი ქვეყნის მეთაური მანდაა. ჩერჩილი ჯერ კიდევ ცოცხალია, რუზველტმა ველარ გაუძლო და მოკვდა... სტალინსაც მანდ უპირებდნენ, მაგრამ ბელადი ბოლომდე მტკიცედ იდგა.

### სალომე

მერე გახურებული შამფურებით ძუძუები დაუშანთეს. ბელადი სიმწრისგან ღმუოდა, მაგრამ ერთხელაც კი არ დაუყვირია... ბოლოს სულ გააშიშვლეს და... (პაუზა)

### ნესტანი

მერე?

### მედიკო

აღარ მინდა ამის მოსმენა...

## ნესტანი

დააცადე, თქვას!

### სალომე

ეს რა საშინელება ვნახე! ბელადი გააშიშვლეს...

(უჭირს ლაპარაკი, ჩერდება)

## ნესტანი

ჰო, თქვი, თქვი! თქვი, მერე რა მოხდა!

### მედიკო

ნესტან, დაანებე ბავშვს თავი!

### სალომე

ვიტყვი! ფიცარნაგზე რაღაც მორი შემოათრიეს, ზედ  
ედელვაისებიანი ნაჭერი გადააფარეს... შიშველი და  
ცოცხალ-მკვდარი ბელადი გადააწვინეს, ხალხისკენ  
ზურგით, და ცხელი შამფური უკანალში....

## ნესტანი

(ხარხარებს)

### მედიკო

ნესტან, რა გაცინებს!

## ნესტანი

მერე, მერე რა მოხდა?

### სალომე

ამბობენ, სანამ მოკვდებოდა, „სულიკო“ წაიღიღინაო...  
მკვდარსაც კი არ დაანებეს თავი! რაც კი შამფური  
ჰქონდათ, ყველა უკანალში შეუტენეს... მერე ცხედარი  
ედელვაისებიან გადასაფარებელში შეახვიეს,  
კატაფალკაზე დადეს და წაიღეს. არავინ იცის, სად  
დამარხეს... მამინაცვალმა მითხრა, მთაწმინდის  
კრემატორიუმში დაწვეს და მისი ფერფლი გორში  
მოაბნიესო, თუმცა, არ ვიცი, რამდენად მართალია...  
მამინაცვალი გერმანელი მყავს, იმის სიტყვებს არ  
დაეჯერება.

### მედიკო

გერმანელი? მერე, აქ როგორ აღმოჩნდი? ვერ  
გადაგარჩინა?

## ნესტანი

კიდევ გაქვს იმედი, რომ გერმანელებს ჩვენი გადარჩენა  
შეუძლიათ?

## მედიკო

შენ ხომ თექვსმეტი წლის ხარ, როგორ გაგიმეტეს?

## ნესტანი

ვაზის ფოთოლზე დაიხედე, მედიკო! 8 წელია უკვე,  
ბანაკებში ამოხოცეს ნახევარი საქართველო და ერთი  
თექვსმეტი წლის გოგოს გამეტება გიკვირს?

## ქეთევან მაყაშვილი

არც მანამდე გვადგა კარგი დღე...

## ნესტანი

შენისთანებს სჯეროდათ „ედელვაისის“. აპა, აგიხდათ  
ოცნება და გაიხარეთ!

## მედიკო

ქეთევან... გთხოვ, ამ ბავშვის ხათრით მაინც ნუ დაიწყებთ  
თავიდან... თავისი გასაჭიროც ეყოფა საწყალს.

## სალომე

ო, მამაჩემო ტკბილო... ძველ ხიდთან შევხვდით ახალ წელს,  
38-ში. სულ თოთო ვიყავი, დედას თბილად შეხვეული  
ვეჭირე ხელში, შენ ნაზად და სიყვარულით დამყურებდი,  
მახსოვს შენი წყლიანი თვალები და სიცივისგან  
აწითლებული ცხვირი.

## ნესტანი

რამდენი წლის ხარ, სალომე? შეუძლებელია, არ  
გემახსოვრება.

## სალომე

შინსახკომში მაღალი პოსტი გეჭირა, შენი ტყავის ჩექმების  
და შავი პლაშის ჭრიალი ახლაც იავნანასავით ჩამესმის  
ყოველდამე. შენი ორი მეგობარი, ბიძია თამაზი და ბიძია  
გერონტი, მოფერებით „ტროიკას“ რომ გეძახდნენ  
ამხანაგები. ბერიას ნაჩუქარი ნაგანიც მახსოვს, ყოველ  
მეორე საღამოს მონდომებით რომ ზეთავდი...  
გამორჩეული მუშაკი იყავი და იმიტომ გაჩუქა, ძალიან  
უყვარდი ლავრენტი ბიძიას... დედაც ძალიან უყვარდა, მეც  
მუხლებზე დამისვამდა და მეფერებოდა...

## ნესტანი

იცი, ახლა სად ვართ, შე უბედურო?

### მედიკო

ნესტან, გულს ნუ უხეთქავ, მამინაცვალი გერმანელი  
ჰყავს, იქნებ გადარჩეს, რად გინდა, წინასწარ რომ აშინებ?  
იქნებ, გადაარჩინონ, ჯერ კიდევ...

### სალომე

სად ვართ, არ მეტყვით?

### მედიკო

აბასთუმნის ობსერვატორიაში, ჩემო კარგო.

### ნესტანი

აბასთუმნის საკონცენტრაციო ბანაკში...

### მედიკო

ნესტან, ხომ გთხოვე!

### ნესტანი

რახან შენ იტყვი...

### მედიკო

მე მედიკო მქვია, ტყუპებზე ვარ ორსულად. აი, ნახე, ამ  
წითელ ყელსახვევს ჩემს შვილებს ვუქსოვ...

### სალომე

ორსულად ხართ? რომ არაფერი გეტყობათ?

### ნესტანი

დაეტყობა, სად წავა. ფრიცები საჭმელს არ გვაკლებენ,  
მართალია, შესახედავად ფუნას ჰგავს, მაგრამ  
სასარგებლო საჭმელია, შიგ რაღაცებს უმატებენ,  
ჯანმრთელი შვილები რომ გავუჩინოთ.

### სალომე

მე თექვსმეტი წლის ვარ...

### ნესტანი

არადა, ვერ იტყვი, უფრო დიდს ჰგავხარ.

### სალომე

ო, ტკბილო მამაჩემო... 46-ში, როცა გერმანელებმა  
დაგვიპყრეს, დედა დაქვრივდა, მარტონი დავრჩით,  
ულუქშაპუროდ...

### ქეთევან მაყაშვილი

წამებით მოკლეს? თუ უბრალოდ ჩააძალლეს?

### სალომე

გთხოვთ, ქალბატონო...

### ქეთევან მაყაშვილი

წამებით მოკლეს? ხიშტებზე წამოაცვეს, როგორც  
ეკუთვნოდა? ფრჩხილები დააგლიჯეს? ელექტრო-  
სადენები შუერთეს?

### ნესტანი

რა სასაცილო ხარ, ქეთევან...

### მედიკო

(სალომეს) მე მომიყევი, მაინტერესებს!

### სალომე

ახალგაზრდა დედაჩემს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა,  
დარდისგან გულმოკლული იჯდა თავის ოთახში და  
გაუთავებლად ქარგავდა, ბოლომდე სჯეროდა, რომ  
ერთხელაც დაუბრუნდებოდი, მამაჩემო...

### მედიკო

მე აღარ მჯერა, მაგრამ მაინც ვქსოვ... მედიკო მქვია, ამ  
წითელ ხელსახვევს ჩემს შვილებს ვუქსოვ...

### სალომე

მათ შორის ერთი გენერალი გამოირჩეოდა, დედას  
მოსვენებას არ აძლევდა. ის გენერალი, რომელმაც  
ლენინის ძეგლი ჩამოაგდო 46-ში.

### მედიკო

ომის გმირი... სწორედ ის, ვინც მესამე რაიხის დროშა  
აღმართა აღმასკომის შენობაზე. ის უსახელო, წყეული  
კაცი, ხარბი მამაჩემი რომ დააბრმავა ბრწყინვალებით...  
ჩემზეც ახია, მტერს რომ გავყევი ცოლად...

### ქეთევან მაყაშვილი

ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, 1924 წელს...

## **სალომე**

38-ში, ძველ ხიდთან შევხვდით ახალ წელს, მამა, დედა და ჯერ კიდევ ჩვილი – მე.

## **მედიკო**

46-ში, მესამე რაიხის დროშა აღმართა აღმასკომის შენობაზე ომის გმირმა, მამაჩემი რომ დახარბდა და მიმათხოვა.

## **ქეთევან მაყაშვილი**

38-ში, 45-ში... რა მნიშვნელობა აქვს... როცა ასე ახლოს ვიყავით ოცნებასთან. დავხარბდით. ახია ჩვენზე.

## **ნესტანი**

ჩემი ყაჩალი, სულელი ბიჭი... იჯდა მდინარის პირას და ტიროდა...

## **სალომე**

ვერაფერი ვერ გავიგე! ამიხსენით, აქ რა ხდება...

## **მედიკო**

მე მედიკო მქვია, ტყუპებზე ვარ ორსულად. აი, ნახე, ამ წითელ ყელსახვევს ჩემს მომავალ შვილებს ვუქსოვ...

## **ნესტანი**

ფრჩხილები მაქვს დასაჭრელი, ალბათ, ამაღამ სანიტარი აღარ შემოვა, უკვე გვიანია.

## **ქეთევან მაყაშვილი**

გვიანია, ადრეა... საიდან ვიცით, გვიანია თუ არა. ამ დარბაზში დღის სინათლე ვერ აღწევს, იქნებ სულაც დღეა...

## **მედიკო**

დღე ვერ იქნება. მუცელში არ იძვრიან ჩემი პატარაები, მშვიდად არიან, ესე იგი, ღამეა.

## **ნესტანი**

ფრჩხილები მაქვს დასაჭრელი, ნეტავ მაღ

## **სალომე**

ამიხსენით, გთხოვთ... ვერაფერი ვერ გავიგე... გთხოვთ...

### ნესტანი

დილით ყველაფერს გაიგებ, როცა გაგიყვანენ.

### სალომე

სად?

### ნესტანი

გაგიყვანენ და მოგტყნავენ.

### მედიკო

ნესტან!!!

### ნესტანი

ხო, მოგტყნავენ, რომ დაგაორსულონ. პატარა ჯიშიანი გერმანელი უნდა გააჩინო. ჩვენ ყველანი პატარა ჯიშიან გერმანელებს გავაჩინო ჯიშიანი გერმანელი ჯარისკაცებისგან...

### სალომე

ჩემი მამინაცვალი გერმანელია... თანაც, გენერალი.

### ნესტანი

რა ლამაზია სალომე ამ მთვარიან ღამით... მამინაცვალს მამას ეძახდი?

### სალომე

არა!

### ნესტანი

მართლა?

### სალომე

დედამ მაიძულა, მე არ მინდოდა. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვერ გაუძლო მარტოობას და გათხოვდა.

### ნესტანი

მოღალატე ბოზი!

### მედიკო

ნესტან, მეც გერმანელს გავყევი ცოლად.

## ნესტანი

შენც მოლალატე ხარ და ბოზი.

### მედიკო

ჰო, ნესტან, მოლალატე ვარ და ბოზი. (სალომეს) მე მედიკო მქვია, ტყუპებზე ვარ ორსულად. აი, ნახე, ამ წითელ ყელსახვევს ჩემს მომავალ შვილებს ვუქსოვ.

## ნესტანი

ჰოდა, იმედია, ორივეს კარგად შემოსწვდება ყელზე ეგ ყელსახვევი და კარგად მოახრიობ.

### ქეთევან მაყაშვილი

ნუ ლაპარაკობთ, აზრი არა აქვს. არათერს აზრი არა აქვს. ყველაფერი ბოროტებაა, ყველაფერი ბოროტებაა. ნუ ლაპარაკობთ, ჩუმად იყავით, ლაპარაკი ბოროტებაა, რაც არ უნდა ვთქვათ, ყველაფერი ბოროტებაა. შენც ბოროტი ხარ, მეც, ისიც და ისიც. ყველა სიტყვა ბოროტებაა. აზრი არა აქვს, უაზრობაც ბოროტებაა, ყველა ენა ბოროტებაა. ქართული, გერმანული, რუსული, ყველა ენა ბოროტებაა. ნუ ლაპარაკობთ, ამით ბოროტებას ამრავლებთ. ყველაფერი ბოროტებაა.

### მედიკო

ნესტან, სანიტარს დაუძახე, ჩქარა!

(ნესტანი შემოსასვლელი კარისკენ გარბის და ზედ მთელი ძალით აბრახუნებს)

### ქეთევან მაყაშვილი

ნუ ლაპარაკობთ, მაინც არაფერი არ გვეშველება, ყველაფერი ბოროტებაა, სტალინიც ბოროტება იყო, უარესი ბოროტება მოვიდა. ყველაფერი ბოროტებაა. ჩვენი სამველი არაა. ნუ ლაპარაკობთ, რა აზრი აქვს, მაინც არ გვეშველება. ნუ ლაპარაკობთ, ნუ ლაპარაკობთ, შეეგუეთ. ჩვენც ბოროტება ვართ, იმიტომ, რომ ვეგუებით, იმიტომ, რომ წინააღმდეგობას არ ვუწევთ. რომ ვუწევდით, რა მოვიგეთ? ერთი ბოროტება მეორეთი შეიცვალა. ნუ ლაპარაკობთ, ყველაფერი ბოროტებაა, ლაპარაკი ბოროტებაა...

(შემოსასვლელი კარი ხმაუროთ იღება, შემოდის სანიტარი ქალი. მივარდება ქეთევანს)

### მედიკო

ისევ დაეწყო, წამალი უნდა... უშველეთ...

### სანიტარი

ახლავე დავაწყნარებ. ნუ ღელავ, ძვირფასო, აბა, ლამაზო, მკლავი მაჩვენე... ჩუ, ჩუ, დწყნარდი. ერთი წუთით, ნუ მოძრაობ, დამაცადე (ხალათის ჯიბიდან შპრიცს ამოიღებს) დამაცადე, ახლავე დაგაწყნარებ. ერთი წუთით... ხელი გააჩერე-მეთქი!

(ძალით დაუჭერს ხელს, მაგრამ ვერ იმორჩილებს. ნესტანი და მედიკო ქეთევანის გაკავებაში ეხმარებიან. ბოლოს მაინც მოახერხებს ნემსის გაკეთებას)

აი, ასე, ახლავე დამშვიდდები. ნუ გეშინია.

### ქეთევან მაყაშვილი

შენც ბოროტება ხარ. ყველაფერი ბოროტებაა. ნუ მიყუჩებთ, არ გამიყუჩოთ!

(თანდათან ძალა ეცლება და ნახევრადმძინარე თავისთვის მიიკუნტება კუთხეში)  
**სანიტარი**

აბა, კიდევ რაიმე ხომ არ გინდოდათ?

### ნესტანი

ფრჩხილები მაქვს დასაჭრელი.

### სანიტარი

დამანახე. არა უშავს, დილამდე მოიცდი. მაკრატელი თან არ წამომილია.

### მედიკო

იქნებ საქსოვი ჩხირები მომიტანოთ, უფორ ადვილად მოვქსოვდი...

### სანიტარი

ჩხირები შინაგანაწესის მიხედვით აკრძალულია.

### სალომე

მე არაფერს მეტყვით?

### სანიტარი

ჰო, მართლა, შენ სულ დამავიწყდი... შენ ამაღამვე გაგიყვანენ. მოიცა, ახლავე...

(აბგიდან საპონს ამოიღებს, სალომეს აწვდის, თან სათნოდ და მზრუნველად უღიმის, დედობრივად)

აიღე და კარგად დაიბანე. დედა ხომ გასწავლიდა, რომ გოგონამ თავს უნდა მოუაროს.

### ნესტანი

ამაღამვე გაიყვანენ? ცოტა ხანს გეცდიათ, რა მოხდებოდა.

### სანიტარი

ნესტან, ლამაზო, აბა, ეს რა წესია? რატომ ერევი იმ საქმეებში, სადაც ცხვირის ჩაყოფას არავინ გთხოვს?

### მედიკო

ამას მამინაცვალი ყავს გერმანელი! იცოდეთ, შეცდომა არ დაუშვათ. კარგად გაიკითხეთ, სანამ რამეს იზამდეთ! მერე გვიანი იქნება.

### სანიტარი

აუცილებლად უნდა გავიმეორო? ცუდი გოგო ხარ, მედიკო, თუ არ მისმენდი. ნესტან, აბა, გაუმეორე, რაც გითხარი.

### ნესტანი

მედიკო, ნუ ერევი, თავი დაანებე.

### სანიტარი

ყოჩალ! აბა, არ მოიწყინოთ და გოგონას მიეხმარეთ, უჩვენეთ, წყალი სად არის. თქვენი იმედი მაქვს.

(აუღელვებელი ნაბიჯით გადის და კარს გასაღებით კეტაჭს გარედან. ქეთევანი თავისი კუთხიდან შეძლილი თვალებით უყურებს საპონს. ნესტანი და მედიკო დიდხანს დგანან. სალომეს საპონი ხელში უჭირავს)

### სალომე

სად შეიძლება დაბანა?

(ხანგრძლივი პაუზა)

### ქეთევან მაყაშვილი

(ლუდლულებს) არ დაიბანო. // საპონი ბოროტებაა... ყველაფერი ბოროტებაა...

### მედიკო

//არ დაიბანო, სალომე.

### ნესტანი

//არ დაიბანო სალომე.

### სალომე

რატომ?

### მედიკო

გერმანულ ოჯახში გაიზარდე და ამიტომაც არ იცი...

## **ნესტანი**

იცი, ამ საპონს სად და რისგან ამზადებენ?

### **ქეთევან მაყაშვილი**

ნუ ლაპარაკობთ, // ლაპარაკი ბოროტებაა...

## **ნესტანი**

იცი, რამდენი საკონცენტრაციო ბანაკია საქართვე-ლოში?

### **მედიკო**

სულ თერთმეტია. ყველა რეგიონში თითო-თითო. ჩვენ არ ვითვლებით.

## **ნესტანი**

ამ ბანაკებში 46 წლიდან 2 მილიონზე მეტი ქართველი იყო...

### **მედიკო**

ახლაც ბევრია. ზუსტად არავინ იცის, რამდენი...

## **ნესტანი**

დახოცეს. იცი, როგორ ხოცავენ? დახოცილებს ატყავებენ და მუცლიდან ქონს აცლიან...

### **მედიკო**

// ქონისგან საუკეთესო საპონი მზადდება.

### **ქეთევან მაყაშვილი**

ნუ ლაპარაკობთ. ლაპარაკი ბოროტებაა...

### **მედიკო**

ვისაც კიდევ შერჩენია ქართველობა, საპონს არ იყენებს. ნურც შენ დაიბან, სალომე.

## **ნესტანი**

(მოულოდნელად მივარდება სალომეს, საპონს გამოგლეჯს და მონდომებით დაუწყებს ხვევნა-ფერებას)

ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. შენ მალე გაგიყვანენ, მაგრამ ნუ აღელდები, ყველაფერი კარგად იქნება.

### **მედიკო**

## (ისიც სალომეს ეფერება)

პო, არ შეგეშინდეს, მთავარია, არ შეგეშინდეს და ყველაფერი კარგად იქნება.

### სალომე

ჩემი დაბადების დღე იყო, თექვსმეტის გავხდი. გვიან ლამით, როცა სახლში მხოლოდ ყველაზე ახლობლები დარჩნენ, ისინიც იმიტომ, რომ მთვრალები იყვნენ. მამამ... ჩემმა მამინაცვალმა აიტეხა, ვერანდაზე გავიდეთ და სმა იქ გავაგრძელოთო. ულამაზესი თეთრი კაბა მეცვა, ცისფერი ყვავილებით. დედამ მხრებზე შალი მომახვია. თუმცა, ძალიან არ ციოდა გარეთ. მამინაცვალმა მითხრა, ეგ შალი არ გიხდება, მოიხსენიო. ძალიან მთვრალი იყო. მერე გრამაფონი გამოატანინა მოახლეს ვერანდაზე და საეცევაო მუსიკა ჩართო. სტუმრებიდან ორი-სამი წყვილი ნელა აცეკვდა. მამინაცვალი დიდხანს უყურებდა მოცეკვავებს და შიგადაშიგ ჩემკენ პარებდა თვალს... ბოლოს მითხრა, ჩემთვის იცეკვე და ნებისმიერ სურვილს შეგისრულებო.

### ნესტანი

სანდრო ახმეტელმა 5 წლის წინ ამიყვანა დასში. ჩემი საქმრო იქ გავიცანი. ჩუმად ვხვდებოდით ერთმანეთს //

### მედიკო

// 20 წლის რომ გავხდი, მამამ გერმანელს მიმათხოვა. ომის გმირს, რომელმაც მესამე რაიხის დროშა აღმართა აღმასკომზე 46-ში. //

### ნესტანი

// არავინ იცოდა, რომ ჩემი გიორგი აჯანყებულებთან მეგობრობდა. არც მე ვიცოდი... //

### მედიკო

// არ ვიცოდი, ასე მალე თუ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. თავიდან მეშინოდა ჩემი ქმრის, მერე შემიყვარდა. //

### ნესტანი

// როცა საიდუმლო პოლიციამ შინ მიაკითხა, ტყეში გაქცეული დაუხვდათ. მამაჩემი ცოფებს ყრიდა, ბნელ ოთახში ჩამკეტა, მისი ძებნა რომ არ დამეწყო. //

### მედიკო

// ერთხელ დიდ წვეულებაზე მიგვიპატიუეს გრიგოლ  
რობაქიძესთან, კულტურის სამინისტროში. ჩემს ქმარს  
ყველანი დიდი პატივით დახვდნენ. //

### ნესტანი

// ასმათმა გამომაპარა, ჩვენმა საერთო მეგობარმა და  
ისიც მითხრა, ტყეში სად უნდა მეძებნა. //

### მედიკო

// იმ ღამით უხეშად მექცეოდა, ძალით ჩამტენა მანქანაში  
და ყველაზე ადრე წავედით შინ. აბა, საიდან უნდა  
მცოდნოდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. //

### ნესტანი

// 2 დღე და ღამე ვიხეტიალე ტყეში. თვალი არ  
მომიხუჭავს. გაჩერების მეშინოდა, მდევარი რომ არ  
მომწეოდა. //

### მედიკო

// დღეები ისე გადიოდა, ხმას არ მცემდა. შინ იშვიათად  
მოდიოდა ადრე. ღამებს ვათენებდი სამზარეულოში, იმის  
იმედით, რომ ცოტა ხნით მაინც მოვკრავდი თვალს ჩემს  
საყვარელ ქმარს. //

### ნესტანი

// პარტიზანების რაზმის დედოფალი გავხდი. ერთადერთი  
ქალი ვიყავი იმ რაზმში. ფოთლებისგან გვირგვინები  
დაგვიწეს და ხუმრობით მეფე-დედოფლად გვაკურთხეს  
გიორგის ამხანაგებმა. //

### მედიკო

// ერთხელაც მოახლის პირით შემომითვალა, რომ  
რობაქიძის ქალიშვილს, ფალესტრას ირთავდა ცოლად და  
მე აღარ ვჭირდებოდი... //

### ნესტანი

// ერთ კვირაში საიდუმლო პოლიციამ ჩვენს ბანაკს  
მოაგნო. თავს ღამით დაგვესხნენ, როცა ყველას ღრმად  
გვეძინა. გიორგი და მისი რაზმი ცხენებს გამოაბეს და  
სადლაც წაიყვანეს. მე იმ დღეიდან აქ ვარ, მამამ აღარ  
ისურვა ჩემი მიღება. //

### მედიკო

// მამაჩემი და ჩემი ძმები ბანაკში გაამწესეს. მე სახლიდან  
გასვლა არ შემეძლო. ორ დღეში მანქანა გამომიგზავნა  
ქმარმა, ბარგი ჩამალაგებინეს და აქ მომიყვანეს.

### სალომე

(ტირის) ዓር ወიცეკვე.

## ქეთევან მაყაშვილი

(სალომესთან მიღასლასდება. ეფერება) მოვიდნენ.

(იღება კარი. შემოდის სანიტარი. მიემართება სალომესკენ, ხელკავს გამოსდებს და წელა გაჰყავს. სალომე წინააღმდეგობას არ უწევს. ნელა გადიან, სანიტარი კარს გაიხურავს. მედიკო, ნესტანი და ქეთევან მაყაშვილი უძრავად დგანან. უგრძესი პაუზა. სულ მცირე 2-3 წუთი. აუტანლად გრძელი. ექთანს სალომე უკან შემოჰყავს. თან მოჰყვება მუსიკა. ექთანი სალომეს სანოლზე დააწევნს, ბალიშს ამოუდებს, ფეხებს მუცელზე აუკეცავს, ზენარს გადააფარებს და ა.შ.)

## ექთანი

ლმერთს შესთხოვე, რომ დაორსულდე. სხვა რა უნდა ინატროს ქალმა? მოწყალეა უფალი, არ გაგანბილებს. დედობის სიხარულს იგრძნობ პირველივე დღეს, როცა შენს საშოში ჩვილი აფაჩუნდება. შეგიძლია, ბედნიერი იყო, რადგან ბედმა არ გაგნირა და ჩვენს დიად სამშობლოს ჯანმრთელ ბავშვს გაუჩენ, რომელიც კეთილშობილ გერმანულ სისხლს ატარებს მდაბიო ქართულთან ერთად, რადგან წილად გხვდა ბედნიერება, შენი ქალობა გამოგეყენებინა წმინდა საქმისთვის, ისევე, როგორც, მე გავუჩინე იმპერიას სამი ჯანსაღი ვაჟი, ახლა რომ ამაყად აიქნევენ ქერა თმას ნათელი შუბლებიდან, რომელიც წმინდა რასის თესლმა უნაკლო ფორმით დააჯილოდვა. იცოდე, რომ გმირი ხარ დღეიდან, შენ უკვე პირველი ნაბიჯი გადადგი უკვდავებისკენ. შენი საშო გაუხსენი გერმანულ თესლს, რომელიც შენში კურთხეულ ნაყოფს აღმოაცენებს. იცოდე, რომ რჩეული ხარ ქალთა შორის და გიხაროდენ, როგორც მე მიხაროდა. ამაყი დედა ვარ, სამი ვაჟი ვძობე ამ ბანაქში, სამი სიცოცხლე ვაჩუქე დიად გერმანიას და სამივეს კეთილშობილი გერმანელი ხელისუფლები ზრდიან. მე, ერთი მდაბიო ქართველი ქალი, რა ლირისი, შვილები ვზარდო. ჭიპლართან ერთად ჩვენ შორის კავშირი გაწყდა, მაგრამ არ ვდარდობ, ჩემს ცისფერთვალება არიელებს საიმედო ხელი ზრდის, ზრუნვას არ აკლებს. მე კი, სამშობლოს ლირსეული მსახურებისთვის დამაჯილდოვეს მსახურებით, რომ კიდევ მრავალ ქართველ ასულს ვემსახურო და ვემსახუროთ ერთად ყველანი ამ დიად საქმეს. (სალომეს) ფეხებს ცოტა ხანს ნუ ჩამოსწევ, რომ გერმანულმა თესლმა უკეთ გაიკვალოს გზა დიდებისკენ. დიდებული დედობა გელის, ამქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება. თუ იყოჩალებ, მაშინ ჩემს ბედს გაიზიარებ: ჯანმრთელი ჩანხარ, შენი ნორჩი სხეული კიდევ შესძლებს შვილების ყოლას. შენი საშო კიდევ მოისხამს გერმანულ ნაყოფს. (ყველას) არ გიხარიათ?! სულელებო!!! სიამაყემ უნდა აავსოს თქვენი სულები. თავს გაუფრთხილდით, თქვენი საშო ახლა სამშობლოს კუთვნილებაა.

(აბგიდან ამოიღებს შავ პურს, დაურიგებს ქალებს და ამაყად გადის. გრძელი პაუზა. ქეთევანი ულონოდ მინვება სანოლზე და თავს ბალიშში ჩარგავს. ნესტანი და მედიკო სცენის სიღრმეში, სიბნელეში შედიან)

## ნესტანი/მედიკო

იცეკვე, სალომე.

### ნესტანი:

ექვსი თვის წინ, თვალებახვეული მატარეს ოლრო-ჩოლრო გზებზე. არ ვიცოდი, სად მივდიოდი.

### მედიკო:

ხელები მაგრად შემიკრეს. მაინც რომ არ მოვისვენე, ჯარისკაცმა მუცელში წიხლი ჩამცხო. ტკივილისგან დაკრუნხეული მინაზე დავვარდი.

### ნესტანი

(მედიკოსთან პარალელურად) ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი. თუმცა, ჩემი ყვირილი არავის ესმოდა, მშველელი არავინ იყო. კარგა ხანს უხმოდ მისმენდნენ. მერე, რომ მობეზრდათ, ხელები გადამიგრიხეს და დამიღრიალეს, გაჩუმდიო. სამნი იყვნენ. ორნი წინ ისხდნენ, ერთი მე მეჯდა გვერდით. ამ მესამემ თმაში წამავლო, ჩემი ნაწნავი მკლავზე გადაიხვია, და მთელი გზა ასე ვეჭირე. როგორც კი ხმას ამოვილებდი, მაგრად მქაჩავდა. სიმწრისგან ცრემლები მცვიოდა. შავი სახვევი მთლად დავასველე. კარგა ხნის ჯაყჯაყის შემდეგ, მანქანა გაჩერდა. ჰაერი უცნაურად სუფთა იყო და სუსხიანი. ორნი მხრებში ამომიდგნენ, მკლავებზე მაგრად მომიჭირეს ხელები და რაღაც შენობაში შემათრიეს. თვალები სახვევი მომხსნეს, ვიკითხე, სადა ვარ-მეთქი. პასუხად ერთ-ერთმა მთელი ძალით გამანა სილა. გახეთქილი ტუჩიდან სისხლი წამსკდა. მერე ვიღაც ქალი მომიახლოვდა, უხეშად ჩამავლო ხელი და პატარა ოთახში გამათრია. მიბრძანა, ტანზე გაიხადეო, რომ არ დავემორჩილე, მომვარდა და კაბა შემომახია. ხმაურზე ჯარისკაცები შემოცვივდნენ, იატაკზე დამაგდეს და გამაშიშვლეს. ქალმა წყლის ჭავლი მომიშვირა. წყალი სულ ოდნავ თბილი იყო. ჯარისკაცები იქვე იდგნენ და თვალს არ მაშორებდნენ. სირცხვილით ვიწვოდი, ვცდილობდი, შიშველი ტანი დამეფარა. მაგრამ ის ქალი მიყვრიოდა, თმა გადაინიეო. მერე წყალი გადაკეტა, უხეში პირსახოცი მომიგდო და მიბრძანა, ტანი გაიმშრალეო. მთელი სხეული მტკიოდა, მაკანკალებდა. ჯარისკაცებმა რაღაც ფხვნილი მოიტანეს და ქალმა მთელს ტანზე მომაყარა. მერე ტანსაცმელი მომიგდო. ვიწრო ოთახში გამიყვანეს. ერთი დღე მარტომ გავატარე, არავინ შემოსულა. მეორე დილით ადრიანად გაიღო კარი და ის დავინახე, მაღალი, მხარბეჭიანი. შემოვიდა და კარი მოიხურა. აუჩარებლად შეიხსნა ლილები, ტანსაცმელი სათუთად დაკეცა და ჩემს საწოლზე დააწყო, ზედ სამხედრო ქუდი დაადო და მიბრძანა, გაიხადეო. მომიახლოვდა. ახლადგაპარსული სახე ახლოს მომიტანა, ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. ხელი ძუძუზე მარნუხივით მომიჭირა. სამინლად მეტკინა. ვხედავდი, როგორ აღაგზნებდა ჩემი უმწეობა. საწოლზე დამაგდო, ფეხები ძალით გადამიწია და ლოშნა დამიწყო. მისი საზიზლარი ნერწყვი მუცელზე და სახეზე მომეცხო. ვცდილობდი, მომეშორებინა, მაგრამ ხელებს მიჭერდა. დიდხანს ვებრძოდი, სანამ არაქათი გამომეცლებოდა. უხეშად

შემოვიდა ჩემში. ძალაგამოცლილმა ვერც კი დავიყვირე. თოჯინასავით მომჩვარული ვეგდე და წინააღმდეგობას ვეღარ ვუეწვდი. როგორც იქნა თავისი პინძური თესლი ჩემში ჩაცალა და იატაკზე მიმობნეული ტანსაცმლის აკრეფას შეუდგა. აუჩქარებლად ჩაიცვა, სახეზე ჩამოყრილი თმა გაისწორა, გამიცინა, დაიხარა, შუბლზე მაკოცა და თბილი ხმით მითხრა: დაისვენე, ხვალ კიდევ მოვალო.

### მედიკ

ხელში ამიყვანეს და მანქანაში ჩამაგდეს. ნაწიხლარი საშინლად მტკიოდა. მანქანა მთელი სისწრაფით მიმაქროლებდა სადლაც, მაგრამ სად – არ ვიცოდი. ჩემი კვნესა რომ მობეზრდათ, პირი ამიკრეს უხეში ნაჭრით. სახვევი ისე მაგრად შემომიჭირეს, რომ ტუჩი გამისკდა. მთელი გზა საკუთარ სისხლს და ცრემლებს ვყლაპავდი. სიმწრისგან ფრჩხილებს ხელისგულებში ვისობდი. ვცდილობდი, მეყვირა, თუმცა, ვიცოდი, რომ ჩემი მშველელი არავინ იყო. მანქანიდან რომ გადმომათრიეს, სიცივე ვიგრძენი. სახვევი რომ მომხსნეს, დასისხლიანებული თვალები მზის სინათლემ მომჭრა. მთელი სხეული დაბუჟებული მქონდა, ნაბიჯის გადაგმა მიჭირდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა რევოლვერის ტარი ჩამარტყა და დამიყვარა, ფეხი გადადგი, ნუ მიზოზინებო. უკანასკნელი ძალები მოვიკრიფე, ორი ნაბიჯი გადავდი, მაგრამ მეტი ვეღარ მოვახერხე და ჩავიკეცე. ჯარისკაცები თმაში ჩამაფრინდნენ და ასე მიმათრიეს შენობამდე. კიბის საფეხურებზე რომ მიმათრევდნენ, სიმწრისგან დავიყვირე, მე თვითონ ავალ-მეთქი. მაგრამ ორი ნაბიჯის მეტი მაინც ვეღარ გადავდგი. ჯარისკაცები ჩემიანი ფეხებით მაბურთავებდნენ ქვის კიბეზე. კარში ვიღაც ქალი დაგვხდა, ღონივრად ჩამავლო ხელი და ოთახში შემათრია. ხმისამოუღებლად შემომახია ტანზე კაბა და საცვლები. მერე ჯარისკაცებს დახმარება სთხოვა და საშხაპეში შემაგდეს. სულ ოდნავ თბილი წყლის ძლიერმა ჭავლმა ნაცემი სხეული კიდევ უფრო ამატებივა. ჯარისკაცები კი იდგნენ და მხიარული შეძახილებით მამხევებდნენ: დაიბანე, ბინძურო ქართველო ღორო, იქნებ ცოტა გეშველოსო. მერე იმ ქალმა ჯვალოს ნაჭრით გაგამშრალა, ხელთათმანები ჩამოიცვა და მთელს ტანზე რაღაც ფხვნილი მომაფრქვია. კაბა ჩამაცვეს და პატარა საკანში შემიყვანეს. მთელი ღამე თეთრად გავათენე, ოდნავ ჩავთვლემდი თუ არა, ტკვილი მაფხიზებლებდა. გამთენისას კარი ხმაურით გაიღო და შემოვიდა ის – მაღალი, მხარბეჭიანი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. თვალები ბოროტად უელავდა. დამცინავად მითხრა, შენთვისვე აჯობებს, მოეშვა და სიამოვნება მიიღოო. მერე სულ გაშიშვლდა. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. შეშინებულმა ყვირილი ავტეხე. ჯარისკაცმა რევოლვერი გადატენა, შუბლზე მომადო და აუდელვებლად მითხრა, პირი გააღეო. მერე ძალით ჩამტენა ღულა პირში და გაიხადეო, მიბრძანა. შიშისგან გავშეშდი, ხელებს ვეღარ ვამოძრავებდი. რევოლვერის ღულა ჩემი პირიდან არ გამოუღია, ისე მწვდა მარცხენა ხელით და საცვალი ჩამინია. ღოგონზე დამანვინა და ძუძუებზე ხელების ფათური დამიწყო. თან მეჩურჩუებოდა, თუ გაინძრევი, აქვე მოგკლავო.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი, სიმწრისგან ღულას კბილებს ვუჭერდი. ის არ ჩერდებოდა, მთელი ძალით მაწვებოდა. ცოტაც და ხმამაღლა დაიყვირა და ზედ დამემხო. სიმწრის და სირცხვილის ცრემლები მდიოდდა, პირში რკინის გემო მედგა. მერე იატაკზე მიმობნეული ტანსაცმლის აკრეფას შეუდგა. აუჩქარებლად ჩაიცვა, სახეზე ჩამოყრილი თმა გაისწორა, გამიცინა, დაიხარა, შუბლზე მაკოცა და თბილი ხმით მითხრა: დაისვენე, ხვალ კიდევ მოვალო.

(ნეტსანი და მედიკო სიბნელიდან გამოდიან, თავიანთ საწოლებზე ჩამოსხდებიან)

### ნესტანი/მედიკო

იცეკვე, სალომე.

#### სალომე:

(ცეკვისმაგვარი მოძრაობით) ვუთხარი, ქალიშვილი ვარ-მეთქი. ბოროტად გაიცინა, მით უკეთესი, ნამდვილად ჩემგან დაორსულდები, ისევე, როგორც ამ ბანაკის ყველა სხვა ქალიო. დიდხანს მიყურა გაშიშვლებულს, ხედავდა, როგორ ვცახცახებდი და იცინოდა. მომიახლოვდა, თმაზე მომეფერა. ნუ გეშინია, მოგეწონებაო. ახალგაპარსული სახით სხეულზე მეფერებოდა. ოდეკოლონის მძარფი სუნი ასდიოდა.

#### ქეთევანი:

საპონი მიეცით, დაიბანოს. ჩამოირეცხოს იმ კაცის სუნი.

### ნესტანი/მედიკო:

არა!!!

#### ნესტანი:

საპონს ბანაკებში ამზადებენ.

#### მედიკო:

თუ ქართველობა კიდევ შეგვრჩენია, საპონს არ უნდა მივეკაროთ.

#### ქეთევანი:

ქართველობა... მიეცით, დაიბანოს.

### ნესტანი:

ქეთევან, მთელმა საქართველომ უარი თქვა საპონზე.

#### ქეთევანი:

მთელმა საქართველომ ჩვენზეც თქვა უარი. არავის ვჭირდებით, არავინ მიგვიღებს აქედან გასულებს. მტრის

შვილების გაჩენას არ გვაპატიებენ. ყველაფერი უაზრობაა,  
ნუ ლაპარაკობთ!

### ნესტანი:

პოდა, თუ უარზრობაა, გაჩუმდი!

### მედიკო:

ტყუპებს გავაჩენ, მერე წამართმევენ და ჭეშმარიტ  
გერმანელებად გაზრდიან. მე მედეა მქვია, ტყუპებზე ვარ  
ორსულად. ამ ყელსახვევს ჩემს მომავალ შვილებს ვუქსოვ.

(პაუზა)

### სალომე:

აქედან ვერ გავალ? (დუმილი) ოდეკოლონის მძაფრი სუნი  
ასდიოდა. თმაზე ნაზად მომეფერა. აქედან ვერ გავალ?  
(დუმილი) ოდეკოლონის მძაფრი სუნი ასდიოდა,  
ახალგაპარსული სახით სხეულზე მეფერებოდა. აქედან  
ვერ გავალ? მიპასუხეთ, აქედან ვერ გავალ?

(სამივე ზურგს აქცევს სალომეს. დუმილი)

რა გქვიაო, მკითხა. ებრაული სახელი რატომ დაგარქვესო,  
გაელიმა.

### მედიკო:

(სალომეს ფინალური არია შტრაუსის ოპერიდან "სალომე" – აჲ, იცჲ ჰაბე დეინენ უნდ  
გეკუსსტ... რამდენჯერმე იმეორებს)

### სალომე:

(ძალიან ნელა) ტუჩებში მაკოცა. თამბაქოს მწარე გემო  
ჰქონდა.

### ნესტანი:

ვერ გავალთ, სალომე. არჩევანი არა გვაქვს. გერმანიას  
შვილები უნდა ვუჩინოთ, სანამ შევძლებთ. ქართველები  
აღარ მიგვიღებენ. სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენი საშო ახლა  
სამშობლოს კუთვნილებაა.

### მედიკო:

ვიცოდეთ, რომ რჩეულნი ვართ ქალთა შორის და  
გვიხაროდენ. სხვა გზა არა გვაქვს.

**სალომე:**

თავის მოკვლა არ გიფიქრიათ?

**მედიკო:**

ჩხირები არ მაქვს. ჩემს შვილებს ყელსახვევს თითებით ვუქსოვ.

**ნესტანი:**

ფანჯრები არ გვაქვს, მზის სინათლე და სუფთა ჰაერი აქ არ შემოდის.

**მედიკო:**

დანა არა გვაქვს. (პურს ხელით დატეხავს და დანარჩენებს მიაწვდის. ჭამენ)  
**ნესტანი:**

ჭერი მაღალია, ჭალებს მტვერი სქელ ფენად ადევს.

**მედიკო:**

სხვა გზა არა გვაქვს, უნდა ვიცოცხლოთ.

## ქეთევანი:

მიეცით საპონი, ჩამოიბანოს იმ კაცის თესლი.

## სალომე:

თამბაქოს და ოდეკოლონის სუნი ჰქონდა. თამბაქოს და... ოდეკოლონის სუნი ჰქონდა. თამბაქოს და ოდეკოლონის სუნი ჰქონდა... თამბაქოს და ოდეკოლონის... სუნი ჰქონდა.

## ქეთევანი:

გააჩუმეთ!!!

## სალომე

(მედიკოს ნაქსოვს დასწვდება. მშვიდად) ჭერამდე ვერაფრით ავალ? მომეხმარეთ.

(დუმილი. დარბის სცენის სიღრმეში, ეძებს, არ ჩერდება)

იქნებ სადმე ფანჯარა იყოს?... დანა... მაკრატელი...

(უშედეგო ძებნით დალლილი საწოლს დაუბრუნდება.)

## ქეთევანი

(ძალიან ჩუმად) სალომე... (პაუზა) ნესტან... (პაუზა) მედიკო... ხმა გესმით? ეს ტკბილი ხმა... საიდან მოდის? როგორ არ გესმით? (იატაკს დაადებს ყურს) აი, ისევ! გესმით?

(სალომე, ნესტანი და მედიკო საწოლებიდან წამოდგებიან. ქეთევანი საწოლებს დაეჯაჯგურება, გადაათრევს კუთხეებში და იატაკს აყრის. ჩნდება იატაკის ქვეშ დამალული უამრავი საპონი, თვეობით ხელუხლებლად ნაგროვები. ქეთევანი დიდხანს ეძებს საპნის ნაჭრებს შორის რაღაცას)

## ქეთევანი

ხედავთ, რამდენი არიან? ვერ ხედავთ? ჩვენი კაცები... ნესტან, ეს შენი ქმარია. არა, არა, ეს არა, მოიცა! აი, ეს არის, შეხედე, ვერ ცნობ? სალომე, აი, მამაშენი.

არა, მოიცა, ეს ის ბიჭია, სკოლაში რომ გიყვარდა, შეხედე, როგორი სუფთა თვალები აქვს. მედიკო, ეს ყველა ის ქართველი კაცია, ვისაც გული დასწყდა, გერმანელს რომ მიგათხოვეს. არ გესმით ხმები? (გადაყრის საპნებს) რა მოუვიდათ? ყველა დახოცეს. სულ ყველა. რა ხმაა, საიდან მოდის? მამაჩემის ხმას მაგონებს. 3 წელი ჯურლმულში ჰყავდათ კომუნისტებს, სანამ შიმშილით დაუძლურებულს სული არ გასძვრა. გესმით, როგორ მეძახის? ”ქეთევან! ქე-თე-ვან!” არა, მოიცა, სხვა ხმაც ისმის... ვიპოვე! შეხედეთ,

როგორი ლამაზია! მრცხვენია კიდედც, ერთად რომ გვხედავენ, თავს მორცხვად ვხრი და ვწითლდები. ჯერ არ ვიცი, კაცის სურვილი რაა, 16 წლის ვარ. დედას ვუტყვდები, რომ ლამე არ მიინავს, ამ ბიჭზე ვფიქრობ. დედა ლიმილით მისვამს თავზე ხელს. შავი უხდება, თუმცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. რა ხმა? ფანჯარას ვიღაცამ კენჭი ესროლა. მოვიდა, დედა, მოვიდა, გესმის?! რა ვქნა, გავხედო? რამე მირჩიე. მეძახის... ხმა გესმით? როგორ მეძახის: "ქეთევან! ქე-თე-ვან!" ერთად ვსეირნობთ, ნაზად უჭირავს ჩემი ხელი და კოცნას ვერ მიბედავს. ტკბილ სიტყვებს მეჩურჩულება. ღმერთო, როგორი ლამაზია. არ მიფარავდეს სახეს ახლა დამის ნიღაბი, ქალწულებრივი მორცხვობისგან გავწითლდებოდი. მისი ხმის გაგონებაზე გული მეხსნება. მიყურებს, თვალს არ მაშორებს. როგორი მზერა აქვს, სათნო და სიყვარულით სავსე. მკოცნის. ურუანტელმა დამიარა, აი, თურმე როგორი ყოფილა. რა ტკბილია მისი ტუჩები. თლილი და გრძელი თითები აქვს, მაყვალივით შავი თვალები. მის ცხელ სუნთქვას ვგრძნობ, აი, აქ, კეფაზე. ჩემი ქმარია. ჩემი ქმარი. ჩემი ქმარი. აი, აქა მყავს, მის სუნს ვგრძნობ, ლოგინში რომ მიტოვებდა. აქ არის, ახლაც აქ არის!

(ნელ-ნელა გადის სცენის სიღრმეში, სველი წერტილისკენ)

სად მემალები? რა თამაშია. ასე არ მომწონს. მომიახლოვდი, ხელი მომკიდე, ხედავ, როგორ გელოდებოდი? გეგონა, ამ შეხებას ვინმე სხვა შემიცვლიდა? ჩემი ქმარი, ჩემი სულელი ბიჭი. სახეზე რა გჭირს? რა ჭრილობაა? მკერდზეც... ღმერთო, ნუთუ ეს შენი სისხლია? თვალები, შენი შავი თვალები სად ნავიდა? ცხელი სითხე გეღვრება თვალის გუგებიდან. შენი თლილი თითები დასიებულა. ტუჩები ლიმილს ვერ ვხედავ, შენს მშვიდ და სათნო ლიმილს. სქელი შავი თმა დაგლეჯილი გაქვს. ძლიერ მკლავებზე მყესები გაქვს გადაჩეხილი. ვინ გაგიმეტა. რა თამაშია, ასე არ მომწონს. რატომ არ მეხვევი? არ გიხარია ჩემი დანახვა? არ მოგენატრე? ახლავე მოვალ, მე მოგეხვევი, გაგაცოხლებ.

(სცენის სიღრმეში იხდის, პერანგისამარა რჩება. ინყებს საპნით დაბანას)

აი, ასე, ჩემი ქმარი. ეს საპონი ჩემი ქმარია. მშვიდი და სათნოა მისი ლიმილი. ვერ ხედავთ, როგორ ნაზად მიყურებს. ვერ ხედავთ? თითქოს ანათებს, ვარსკვლავივით კაშკაშებს და მაღლა მიინევს. ვერ ხედავთ? გესმით, როგორ უძგერს ამაყ მკერდში გული? ბაგებიდან ტკბილი სუნთქვა ამოსდის. შეხედეთ! ნუთუ ვერ გრძნობთ და ვერ ხედავთ? ნუთუ მხოლოდ მე მესმის ეს ხმა, საოცრად მშვიდად რომ მოცურავს მისგან, ჩემში აღწევს, ცაში ავყავარ და იმდენად ძლიერდება, რომ გარშემო ყველას აცოცხლებს? ახლა უფრო ცხადად მესმის, თავისკენ მიხმობს, თავბრუს მახვევს. მოვდივარ. შენთვის ამასაც დავთმობ.

(თასით იღებს საპნიან, ნაბან წყალს და ერთბაშად, სულმოუთქმელად დაცლის. ნესტანი და მედიკო ქეთევანთან მიცვივდებიან)

### ქეთევანი

(ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სულ უფრო ჩუმად) ჩემი ქმარი. ჩემი სიყვარული. ჩემი სიცოცხლე. ჩემი სიკვდილი. ჩემი ქმარი. ჩემი სიყვარული. ჩემი სიცოცხლე. // ჩემი სიკვდილი. ჩემი ქმარი. ჩემი სიყვარული. ჩემი სიცოცხლე. ჩემი სიკვდილი. ჩემი ქმარი. ჩემი სიყვარული. ჩემი სიცოცხლე. ჩემი სიკვდილი და ა.შ.

(ნესტანი და მედიკო სალომესთან ბრუნდებიან)

### ნესტანი

// ფანჯრები არ გვაქვს. მზის სინათლე და სუფთა ჰაერი არ შემოდის.

### მედიკო

// ჩხირები არ გვაქვს. თითებით ვქსოვ.

(რამდენჯერმე ჩურჩულით იმეორებენ ამ რეპლიკას. მერე სალომეს თანამონანილეობით იქექებიან საპნებში, თითო საპონს აიღებენ და სეული ნერგილისკენ გარბიან დასაბანად. ამასობაში ქეთევანი გახსივოსნებული, ბედნიერი და მშვიდი სახით ბრუნდება თავის საწოლში. წვება. ზენარს იფარებს. თანდათან ცუდად ხდება და აკანკალებს. დანარჩენები ბანაობას მორჩებიან, საპნიანი წყლით სავსე სამი თასით უბრუნდებიან საწოლებს, პერანგებისამარა)

### ნესტანი

მალე ყველაფერი დამთავრდება. გვეღირსა.

### მედიკო

დაკარგულ ღირსებას დავიბრუნებთ.

### ნესტანი

მთავარია, არ შეგვეშინდეს. გათენებამდე ბევრი დროა, ვერ მოგვისწრებენ.

### მედიკო

იმედია, მალე დავიხოცებით. თუმცა, არ ვჩივი. სულერთია.

### სალომე

რომ ვერ მოგვწამლოს? რომ გადაგვარჩინონ?

### ნესტანი

ამ საპონს ჩვენი კაცებისგან ამზადებენ. ვერ გადავრჩებით.

### მედიკო

გული აგვერევა, სისხლი მოგვეწამლება და დავიხოცებით.

## სალომე

ვინმემ რომ მოგვიკითხოს გათენებამდე? კუჭს  
ამოგვირეცხავენ და გადაგვარჩენენ. მერე რა მოხდება?

## ნესტანი

დავლიოთ, დრო არ ითმენს. (ატყობს, რომ სალომე  
ყოყმანობს) მე დავლევ პირველი. (თასს მოიყუდებს. სვამს)

(ქეთევანი სულ უფრო ცუდად ხდება, საწოლში იკუნტება. სალომე შეშინებული აკვირდება  
ქეთევანს და ნესტანს)

## მედიკო

ჩემი ჯერია. (სვამს)

## სალომე

იქნებ მაინც გადავრჩეთ? ვინმემ რომ შემოგვისწროს?

(ქეთევანი სპაზმისგან იკრუნჩება და საშინელ ხმებს გამოსცემს. ნესტანს და მედიკოსაც  
ეტყობათ, რომ უკვე ცუდად არიან)

## ნესტანი

დალიე, რას ელოდები?

## მედიკო

ნუ გეშინია. ამით ყველა სამარცხვინო ლაქას  
ჩამოვირეცხავთ. დალიე!

## სალომე

იქნებ უკვე ორსულად ვარ?

## ნესტანი

ეგ მტრის ბავშვია. ნუ გეცოდება.

(სალომე წამოხტება, კარებთან მიირჩენს, მთელი ძალით უბრახუნებს)

## სალომე

გვიშველეთ! გვიშველეეთ!

(შესამჩნევად დაუძლურებული ნესტანი და მედიკო მისცვივდებიან, ძალით მოათრევენ  
საწოლებთან. საწოლის თავზე შუქს აქრობებ. თითქმის სრული სიბნელეა)

## მედიკო

დალიე-მეთქი! ასე აჯობებს.

(ნესტანი ძალით უდებს პირს, მედიკო ცდილობს, წყალი პირში ჩაასხას, სალომე აფურთხებს და თან საშველად უხმობს. მერე დაუსხლტება ქალებს და უმისამართოდ გარბის. ნესტანი და მედიკო მას მისდევენ. სიბნელეში ისმის ყვირილი, სალომე მშველელს უხმობს. ისმის ბრძოლის და შემდეგ ხროტინის ხმა. ცოტა ხანში სრული სიჩუმე ისადგურებს. როგორც კი ხმაური მინტენდება, იღება კარი და შემორბის ჯარისკაცი. ხელში პატარა ჯიბის ფანარი უჭირავს. თავიდან ქეთუვანთან მივა, ზენარს გადახდის, ქალი ჯერ კიდევ ცოცხალია. ჯარისკაცი ზურგ ზე მოივდებს ქეთუვანს და ოთახიდან გაათრევს. მალევე შემობრუნდება. ფანრით ანათებს ბნელ სივრცეს. ერთ-ერთ კუთხეში მიყუჟულ ნესტანს იპოვის, თმაში წავლებს ხელს და ოთახიდან გაიყვანს. ისევ პრუნდება, იმგვარადვე იპოვის მედიკოს და მასაც გაათრევს ოთახიდან. შემდეგ შემობრუნება ზე ოთახის შუაგულში დგება. სამხედრო ფორმას ნელ-ნელა ვაიხდის, აკურატულად დაკეცავს, ერთგან დაანტობს, ზედ სამხედრო ქუდს დაადგებს. მიშველია. ნელა მიუახლოვდება სალომეს, ერთხანს ეფერება, მერე დამხრჩალს ხელებზე დაისვენებს და ნელი ნაბიჯით, სამგლოვიარო პროცესის ტემპში გაყავს ოთახიდან. სალომეს ყელზე წითელი შარფი აქვს შემოჭერილი, რომლის უსასრულოდ გრძელი ბოლო დიდხანს, აუჩქარებლად გასრიალდება ოთახიდან. კარი იკეტება. სრული სიბნელე. გრძელი პაუზა)

## დასასრული